მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 7 1883—1893 15 აპრილს

ნიადაგი მუეაითობა არის დამაგვირგვინებელი ყოველი დაწყებული საქმისა.

1885 წელს ქ. თბილისში განიზრახეს ძმობის დაარსება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის სახელზედ. ძმობის დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს საეკსარხოსოში გავრცელებიათ მართლ-მადიდებელი ქრისტიანობრივი განათლება. ამ მეტად მშვენიერი და სასარგებლო მიზნის მისაღწევად ძმობას სახეში ჰქონდა ღვთის-მსახურების გარეშე საუბრების ტ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი საზოგადო სამკითხველოების გამართვა, სადმრთო წიგნების გავრცელება, სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინაარსის წიგნების და სადმრთო სურათების გამოცემა ტ გავრცელება საქართველოს მართლ-მადიდებელ მკვიდრთა შორის და საეკლესიო-სამრევლო წიგნთ-საცავების და წიგნის მაღაზიების გამართვა.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს აზრი ფრიად მშვენიერი იყო და სწორედ მოსწრებულ დროსაც მოხდა. ღვთის მადლით, ბევრი კეთილნი პირნი აღმოჩნდნენ, რომელნიც სიამოვნებით ჩაეწერნენ ამ ძმობის წევრებად. ძმობამ დაიწყო მოქმედება 1 იანვრიდამ 1886 წლისა. ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ ამ ძმობის მონდობილებით გამოვეცით 15,000 წიგნაკი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსისა. ამ წიგნაკებს ჩვენვე ვაგზავნიდით საქართველოს საეკსარხოსოის ყველა სამრევლოებში. თითოეული წიგნაკის ფასი იყო 2 კ. მაგრამ ამ ძმობის თავს-

მჯდომარის გარდაცვალების შემდეგ შეჩერდა ამ წიგნაკების ბეჭვდა. ერთი სიტუვით ძმობა პირველ ხანებში ძლიერ მუყაითად მოქმედებდა და სიყვარულობით ეკიდებოდა თავისგან ნატვირთ საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლოს ეს მხურვალე სურვილი ძმობისა რაღაცა გაგრილდა და დღეს ხსენებული ძმობის მოქმედებაზე თითქმის სრულებით აღარაფერი ისმის. რომ ძმობას ისეთივე მეუყაითობით და სიყვარულით ეწარმოებია საქმე, როგორც პირველ ხანებში თავისი არსებობისა, ამ 7—8 წლის განმავლობაში ბევრი რამ სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო და საკმაო დონისძიებასაც მოიპოვებდა თავის არსებობისათვის. მაგრამ ჩვენი უბედურობაც ის არის, რომ ჩვენგან განზრახულს საქმეს დიდხანს ვერ მივუვებით ბეჯითობით. დიდის ხალისით ვიწყებთ რაიმე საქმეს ჯ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ხალისი და მონდობილება თან-და-თან გრილდება და ბოლოს ჩვენგანვე ნატვირთავ საქმეს თავს ვანებებთ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში არც ერთი საქმე სისრულეში არ მოსულა, სასურველად არ დამთავრებულა.

საქართველოს ახალმა ექსარხოსმა, ჩვენდა სასიხარულოდ, პირველადვე სწორედ ჩვენი სამღვდელოების მოღვაწეობის ამ ნაკლს მიაქცია თავისი მამობრივი ყურადღება და, როგორც ამბობენ, მათი მეუფება ცნობებს ჭკრებს აღნიშნული ძმობის მოღვაწეობის შესახებ. მათ მეუფებას სურს შეიტყოს, თუ რა მოიქმედა ხსენებულმა ძმობამ საეკლესიო-სამრევლო წიგნთ-საცავების და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნების გავრცელების შესახებ ხალხში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საგნის შესახებ შეკრებილი ცნობანი დაარწმუნებენ მათ მეუფებას, რომ ძმობის საქმე სანატრელს მდგომარეობაში არ არის; ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ ზოგიერთნი ჩვენი სულიერნი მწყემსნი, თავის გასამართლებლად, ჩვეულებრივ, იმასაც იტყვიან, რომ მათმა სამწყოსომ არ იცის წერა-კითხვა, არა აქვს ხალხს სურვილი და მისწრაფება წიგნების კითხვისა და კიდეც რომ იყოს ასეთი სურვილი ხალხში, ვითომც საკითხავი წიგნები არ იშოვებოდეს ჩვენში. *) მაგრამ ყოველივე ეს იქნება სიცრუე და პირმოთნეობა:—მკითხველებიც ბევრია და საკითხავი წიგნებიც გვეშოვება, მხოლოდ საქმის მოთავე კაცები არა გვყვანან, რომელთაც მხურვალედ მოჰკიდონ საქმეს ხელი და ჭეშმარიტად ემსახურნენ საზოგადოების სასულიერო ინტერესებს.

ჩვენში, კარგა ხანია, დაარსდნენ წიგნების გამომცემელი ამხანაგობანი, რომელნიც თავიანთ გამოცემულს წიგნებს ათასობით ავრცელებენ ხალხში. რას ამტკიცებს ეს მოვლენა? იმას, რომ ჩვენში ბევრმა იცის წერა-კითხვა და სურვილიც აქვსთ კითხვისა. ჩვენში სარწმუნოებრივ-შინაარსის წიგნებიც ბლომად მოიპოვება. ჩვენ თვითონ 15000 წიგნაკამდე ვბეჭდავთ ყოველ წლობით,—და სადაც კი ხელი მიგვიწვდება, ყველგან ბევრი ვრცელდება. ჩვენი წიგნაკები, რომლებშიაც აღწერილი იყო ჩვენი წმიდანები, ჩვენ რამოდენიმე ათასი გავგზავნეთ პეტერბურგში, რომ რუსებისათვისაც გაგვეცნო ჩვენი ეკკლესიის წმიდანები, რადგან მათში ძლიერ მცირე ნაწილს აქვს რიგიანი შეხედულება ჩვენს ეკკლესიაზედ. ზოგიერთი ჩვენი წიგნაკები 300—400 ცალობით გაგვიყიდნია ხოლმე ტაძრების დღესასწაულებზე. და ან ვინ იქნება ისეთი, რომ ორი-სამი კაპიკი დაიშუროს წიგნაკში.

სამწუხაროდ უნდა გამოვტყდეთ, რომ თბილისში ჩვენს წიგნაკებს სარწმუნოებრივ-ზნეობრი-

*) ჩვენში, სამწუხაროდ, ბევრნი არიან იმისთანები, რომელთაც თავის ნიჭით და მოქმედებით რომ ვერ დაუმსახურებიათ თავიანთ მთავრობათა ყურადღება, სხვანაირი ორპირული და საძრახი პირმოთნეობით ცდილობენ დაიმსახურონ ყურადღება. ამისთანა პირები ყოველ ამისთანა შემთხვევაში უტკიცებენ განგებ ზოგიერთებს, რომ ჩვენ ხალხს ვითომც ქართული წიგნების კითხვის სურვილი არა აქვს და საჭიროდ ხადიან რუსული წიგნაკების გამოწერას..... ერთი სიტყვით ყველაფერ ქართულზე უარს ამბობენ და პირმოთნეობით ურჩევენ რუსულს ენაზე გამოცემული წიგნაკების სხვა-და-სხვაგვარ მწვალებელთა წინააღმდეგ გამოწერას და ჩვენს ხალხში მათ გავრცელებას, ვითომც ქარველებში მართლა იყვნენ გავრცელებულნი მწვალებლები!... ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ამისთანა შინაარსის რუსული წიგნები სასარგებლონი არ იყონ თავის ადგილას. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ეს წიგნები ქართველებისთვის უსარგებლოა, რადგან საქართველოს ხალხში არასოდეს მწვალებლები არ ყოფილან და არც დღეს არიან. რუსული გაზეთები ბევრს სწერენ სხვა-და-სხვა სეკტანტუბზე კავკასიაში და მართლაც ბევრნი არიან, მაგრამ ესენი რუსეთიდამ არიან გადმოსახლებულნი და არა ადგილობრივ მკვიდრთაგანები.

ვი შინაარსისას ვავრცელებთ ერთი ურიის დახმარებით, რომელსაც აქვს წიგნის მადაზია ამ ქალაქში. განა სასირცხო და სათაკილო არ არის ჩვენთვის, რომ ამისთანა წიგნებს ურიის შემწეობით ვავრცელებდეთ ხალხში! მაგრამ რას იზამ, როცა შენიანი, შენი თანამოძმე ამ კეთილს საქმეში სრულებით არ გეხმარება! აბა ჩამოიარეთ ჩვენი სატახტო ქალაქ თბილისის ყველა მართლ-მადიდებელი ეკლესიები, თუ თქვენ რომელიმე ტაძარში ნახოთ რაიმე წიგნაკი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსისა ქართულს ენაზე! ზოგიერთ ადგილას დიდის თავმომწონებით დაუბარებიათ რუსული წიგნაკები «ბაბტისტების» და «მოლაკნების» წინააღმდეგ და ფულით რომ არავინ ყიდულობს, მუქთად აძლევენ ხელში მლოცველებს. განა ეს არის ჭეშმარიტი ზრუნვა ჩვენი სამწყსოის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განათლების და განვითარების შესახებ? არა და არა. დროა, რომ ჩვენი მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას ყურადღება მივაქციოთ და სამწყსოთა ჯეროვანი სულიერი საზრდო მივაწოდოთ.

დეკ. დ. ღამბაშიძე

მცირე პედაგოგიური შენიშნვა.

ბევრათ უმჯობესია, სვა წყაროს წყალი სათავეშივე, ვინემ მისს წარსადინელზე; უფრო სასარგებლოა, იკითხო კაი წიგნი თვითონ დედანში, ვინემ მრავალი კარგიც რამ დაწერილი იმ წიგნის შესახებ და მის გამოისათ. ამ ჭეშმარიტებისთვის ყური მოუკრავს ბ. ლალიაგორელს და ხელმოდებ უარყოფს და მაენებლადაც კი სთვლის ისეთ სასარგებლო წიგნს, როგორიც არის ახლარღლე გამოცემული «ჯეჯილის» რედაქციისაგან «სურათებიანი ვეფხისტყაოსანი», ამბად გადმოთქმული გ. იოსელიანისაგან (იხ. «ივერია» № 44). დაუჯერებელია, ისეთმა გამოცდილმა პედაგოგმა, როგორიც არის ბ. იოსელიანი, ასეთი ანტიპედაგოგიური საქმე ჩაიდინოს, და თუ გარჯილა, უთუოთ საფუძველი ექმნებოდა.

ნუ თუ ბ. ლალიაგორელს ჰგონია, ვითომ მშვენიერის რისიმე, ხელოვნებითი ნაწარმოების და მისის ძალის შესაგნებათ არავითარი ჯლიქვის წაკვრა, არავითარი ხელ-ს შეწყობა საჭირო არ არაა; ნუ თუ იგი ფიქრობს, რომ ყმაწვილები და ხალხი თავისთავათ შეიგნებენ შვენიერების გამომჟღავნებას და გატაცებულ იქმნებიან მითი? რომელ ხელოვანს მოუცია ისეთი ნაწარმოები, რომ ერთსა და მასვე დროს საყოველთაოთ მისაწდომიც იყოს და დიდებულიცა? რატომ არ არის კარგი წვრილის ლექსების და საერთოთ არართულის ხელოვნებითი ნაწარმოების ღეჭვა და ჯიჯგნა, როგორც ეს არი მიღებულ ზოგიერთ ქრისტომატიებში და როგორ უნდა გადიქმნას ლიტერატურული განათლების წეს-წყობილება, ამაზე დიდი, გაბმული მსჯელობაა საჭირო. და აქ ამის განხილვას ვერ შეუდგებით. აქ ვიტყვით მხოლოდ ამას, რომ ყოველივე ხელოვნებითი ნაწარმოები უნდა შეისწავლოს კაცმა და შეასწავლო ყმაწვილს იმ გზით, რა გზითაც იგი, ნაწარმოები, შექმნილა ავტორის მიერ. ხელოვანს თავდაპირველ გაუელვებს თავში იდეია რომელისამე სამიზეზოს გამოისობით. შემდეგ ამ იდეის გამოსახატავათ ერთბაშად აღუდგინდება გონებაში სიუჯეტი მომავლის ნაწარმოებისა. შეამუშავებს რა ამას ფიქრით, შემდეგ შეუდგება წვრილების, დეტალების დახატვას და ჩონჩხის ხორცთ შესხმას; შემდეგ შეიძლება ნელნელა გარეგნობის შესწორ-შამოსწორებას, განატიფებას მოანდომოს კიდევ რამოდენიმე დრო და გამოდის მთლიანი ნაწარმოები, თუ ნაწარმოები მარტივი რამ არის, როგორც მაგ. მოკლე ლექსი, მაშინ სამივე ის პროცესი თითქმის ერთბაშად სრულდება. აი ამ უკანასკნელ გვარის ნაწარმოებს არ უნდა ბევრი აღლევა და ღეჭვა, რომ არ გაუგრილოს წამკითხველს მისგან მოლებული შთაბეჭდილება. ისეთ რთულ ნაწარმოებს, როგორიც არის «ვეფხისტყაოსანი», უსწავლელი კაცი და «მოზრდილი ყმა» პირდაპირ ვერ შეისწავლის. მისთვის საჭიროა ჯერ შეცულობა იცოდეს პოემისა და მერე თვით პოემა წაიკითხოს და შეიგნოს. ბ. იოსელიანს გადმოუღია ეს ვრცელი სუჯეტი «ვეფხისტყაოსნის» და კაიც უქნია. აი რათ: ხატოვნება (воображеніе) ორნაირია: ზოგს კაცს ემარჯვება დაბოჭოს საგნების მხოლოდ ზოგადი მონაქთულობა, სხვებს კი წვლილების გარჩევის უნარი უფრო აქვს. პირველნი ამიტომ შენიშნვენ ხოლმე

მსგავსებას ფორმებისას, რომელთაც, რაკი მკაცრი ნაქვთები არ აქვთ, შეზავებულნი, გაერთიანებულნი არიან არა ცხად ხატებად—მეტაფორად. ეს არის ხატოვნება ყრმათა და ჭაბუკ ხალხთა, რომელთაც ენაც კი აგებულია მეტაფორებისგან. მეორე გვარი ხატოვნება, პირიქით, რაკი აჩჩნევს უფრო ფორმების წვლილებს, სწრაფათ ითვისებს მათ შორის არსებულს განსხვავებას. მეტად გაშლილი განზოგადების ნიჭი ყრმათა სწორეთ იმისგან წარმოდგება, რომ ისინი მსგავსებას უფრო ითვისებენ, ვინემ სხვაობას საგანთა. განსხვავების მომლეობა ერთობ მნებლობითი რამეა, ხატოვნების შრომასა და ძალგამწეობაზე დამოკიდებული, რაისთვისაც გონებითი განვითარებულობაა საჭირო. ყმაწვილი უნდა ხედავდეს მას, რასაც ელაპარაკებიან, როცა კი არ ხედავს, არც გაეგება. იგი ცხადათ ვერ არჩევს ვერც დროს, ვერც ადგილს, ვერც მომქმედ პირებს. ამ შემთხვევაში, მბობა «ვეფხისტყაოსნის» შინაარსისა არის გათვალსაჩინოება განყენებულისა, დანახვება უხილავისა.

სანამ რამეს ეტყოდე ინტელექტს მეტადრე ყმაწვილისას, და განუვითარებელ კაცისას, ჯერ უნდა ელაპარაკო მისს გულს, გრძნობებს. ხატოვნებამ რომ დანახვა რისიმე შეძლოს, საჭიროა ყოველსავე მისდამი მისართმევს, წინადაგებულს უნდა ჰქონდეს ფორმა, ფერი. გულიც კი უნდა ხედვიდეს, რომ გრძნობდეს. აი, ეს დანახვება შესახებ «ვეფხისტყაოსნისა» იქნება მის შინაარსის წინასწარ მბობა. მაგრამ ისე კი უნდა იყოს ნაამბობი, რომ ფაკტები ამოარჩიო, წვრილმანები გადაყარო, გაკაშკაშო მხოლოდ ისინი, რომელთშიაც უფრო იხატება სიცოცხლე და ზრდა პოემის იდეისა და ამის გარემოებისა. ამით შემსწავლელს მიეცემა არიანდეს ძაფი გზის გასაგნებათ ამ მისთვის ლაბირინტში; გონებას კალო გაუსუფთავდება და სანუკველად გაუხდება მისი შინაგანი შევნება. წინდაწინ უთქმელობა შინაარსისა და ისე კითხვა იქნება უგულებლობა მთელის პოემის სიდიადისა, დაბურულ ტყეში ხეტიალი, უყიბლანოთ ოკეანეზე მოგზაურობა.

ვთქოთ, ყველა ეს შენიშვნები საეჭვოა; არის კიდევ სხვა გვარი გარემოებაც, რომელიც საჭიროდ ხდის ამ გვარ გამოცემებს ჩვენში. ყოველ წელს, როცა მივადგებით (ზედა კლასში, რასაკვირველია) «ბუნების კარში» შეტანილთ სტატიას შოთა რუსთაველზე და «ვეფხისტყაოსნის» ნაწყვეტებს, მოსწავლეები დაქანებით იხვეწებიან: «მოგვიყევი, ბატონო, ვეფხისტყაოსნის ამბავი, მოკლეთ მაინც გვითხარიო». უდიერობა იქნება ამ ხვეწნას მასწავლებელმა ყური არ ათხოვოს. რა თქმა უნდა, გათავებისას მასწავლებელმა უნდა დასძინოს, რომ ეს ნაამბობი «ვეფხისტყაოსანი» არის მხოლოდ აჩრდილი დედნისა, არის კანვა, რაზედაც მოქარგულია საოცარის ფერადსახეობით დიდებული სურათი პოემისა; რომ ლაზათი, დიადობა და სინატიფე მხოლოდ ტექსტშია, მისს «ხელით ხელ საგოგმანებელ» ლექსებში. რა დიდის ხელოვნებით არის მათში გამოხატული იდეა პოემისა (გამარჯვება სიყვარულის ყოველგვარ დაბრკოლებაზე), ამას დაანახვებს თვითონ ტექსტის კითხვა და გადაკითხვა. საჭიროა მხოლოდ ორი-სამი შესანიშნავი ადგილები განმარტებით წააკითხო მოსწავლეებს მასწავლებელმა (მცოდნე პირმა), თუნდ ის ნაწყვეტები, «ბუნების კარში» რომაა შეტანილი და, მაშასადამე, ნება დართული; დაასწავლო კლასზე გარმონიული კითხვა შაირსტყეისა და მერე თვით იციან მოსწავლეებმა. ჩვენს გარემოებაში ამის მეტი დრო არ დარჩება მასწავლებელს ამისთვის.

როცა ამ გვარათ საქმის დაჭერა უნაყოფოთ არ ჩადის, ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ბევრს მოსწავლეთაგანს შეუძენია იაფფასიანი, ოზურგეთს გამოცემული «ვეფხისტყაოსანი», ზედ ეს «ჯეჯილის» რედაქციის გამოცემაც მიუკინძავს და მით დაუფუძნებია თავისი პაწია ბიბლიოთეკა. რა დასაწუნია ეს გამოცემა, როცა ამითი არათუ მოსწავლეებს, მასწავლებელთაც კი უადვილდება «ვეფხისტყაოსნის» გაცნობება. განა ყველა მასწავლებელთ შეუძლიათ ისე დალაგებით მოყოლა ამ პოემის შინაარსისა, როგორც ეს აქვს ბ. იოსელიანს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, მალე მეორე გამოცემა იქნება საჭიროდ და ეს იქნება უცილობელი დამრღვევი ბ. ლალიაგორელის მიერ გამოთქმული მწუნარობისა. მას რომ სამოწმო ადგილები ამოუწერია «ვეფხისტყაოსნითგან», ისინი, მართლადა, ყველასთვის გასაგებია. მაგრამ ათის იმდენი ნაწყვეტების ამოღება შეიძლება და დამტკიცება, რომ ისინი ყველასთვის გასაგები არ არიან. თუნდაც რომ არა, შინაარსის მბობა წინდაწინ მაინც და მაინც საჭიროა.

ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ბ. იოსელიანს მეორე გამოცემისთვის უფრო შეიმუშაოს, უფრო პოეტური ხასიათი მისცეს შინაარსს, ნახატები გაამრავლოს და

1893 წელსა, № 7 15 აპრილს

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

1861 წლამდე არსებული წესის აღდგინება ხაზინიდგან ნელ-ნელა ფულების დანიშვნისა სამღვდელოების შესანახავად.

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშეერდომილეს ანგარიშში მართლ-მადიდებელი აღსარების უწყების შესახებ 1888 და 1889 წწ., სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის შესახებ მუხლში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო შემდეგი: სამრეველო სამღვდელოების ნივთიერად უზრუნველ ყოფის შესახებ კითხვა შეადგენდა არა მცირე ზრუნვას ყველა მთავრობათა ხელმწიფე იმპერატორის პეტრე I მეფობის დღიდგან. მაგრამ ეს კითხვა საესებით არ იქმნა გადაწყვეტილი, ვინაიდგან ერთის მხრით ვერ აღმოაჩინეს საკმაო საშუალებანი, რათა შესაფერად განეკარგებიათ ნივთიერი მდგომარეობა სამღვდელოებისა რუსეთის ეეგერთელა სახელმწიფოში, და მეორეს მხრით საძნელო შეიქნა ყველა საჭირო ცნობათა შეკრება ყველა საეკკლესიო კრებულთა მდგომარეობასა და საჭიროებაზე მთელს იმპერიაში. უმეტესი თავს-გამოდებით გარდაწყვეტილ ამ კითხვის გარდაწყვეტას შეუდგა ნეტარხსენებული იმპერატორი ნიკოლოზ პაველეს ძე, რომელმაც თავის მეფობის პირველ წლებიდგანვე განსაკუთრებული მზრუნველობა მიაქცია სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობას, როგორი მზრუნველობაც კიდეც გამოხატა თავის სახელწოდებულს უქაზში უწმ. სინოდისადმი, 11 იანვრიდგან 1828 წლისა შემდეგი სიტყვებით: «განუწყვეტელს ჩვენს მზრუნველობაში ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშეერდომთა კეთილდღეობის შესახებ, სამღვდელოების მდგომარეობა მომეტებულად იქცევდა ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. მტკიცედ მრწამს, რომ კეთილი ქრისტიანული ჩვეულებანი შეადგენენ უპირველეს საფუძველს საზოგადოებრივი კეთილ-დღეობისას, ხოლო ჩვეულებანი იწრთვნებიან სამღვდელოების დარიგებით და მაგალითით; ჩვენ მუდამ მოწადინებული ვიყავით, რათა სამღვდელო დასს ჰქონებოდა ყოველივე საშუალება ახალთაობის განათლებისათვის, რომელიც ეკკლესიის მოსამსახურედ ემზადება და მასთან თავისი მსახურებაც მხურვალედ და შესაფერი ღირსებით განვლოს, რათა სამღვდელოების მოღვაწეობა არ დააბრკოლოს ქვეენიურმა მზრუნველობამ და ლუკმა პურის მოპოვების ცდამ. სხვა-დასხვა შემთხვევის დროს განუცხადე რა უწმ. სინოდს ჩემი აზრი და სურვილი ამ დიდად საჭირო საგნების შესახებ, ჩვენ საკეთილოდ ვსცანით ამით ხელახლად ებრძანოთ, რათა უწმიდესმა სინოდმა უსათუოდ წარმოგვიდგინოს ჩვენ ლონისძიებანი, რომელსაც ის დაინახავს საჭიროდ, რათა ერთის მხრით უფრო წარმატებით წავიდეს სამღვდელოთა ახალთაობის განათლების საქმე და მეორეს მხრით, რომ პირნი, რომელნიც სასულიერო წოდებიაათვის ემზადებიან, განსაკუთრებით სამრეველო სამღვდელოებისა, ნივთიერად უზრუნველ-ყოფილ იქმნენ ყველგან და განსაკუთრებით ღარიბ სამრეველოებში».

ამ უმაღლესი ბრძანების აღსრულებისათვის უწ. სინოდმა შემდეგს 1829 წელში წარადგინა უქვეშეერდომილესი მოხსენება შესახებ მისა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საეკკლესიო კრებულთა ნივთიერი მდგომარეობა, რომლის შესახებაც გამოიცა 6 დეკემბერს იმავე წლისას უმაღლესი ბრძანება, რათა, სხვათა შორის, დანიშნულ ყოფილიყო ყოველ წლობით 1830 წლიდამ უწმიდესი სინოდის განკარგულებაში 500,000 მანეთი ქალალდის ფული, რომ ამ თანხიდამ დანიშნოდა ჯამაგირი უფრო ღარიბ სამრეველოების კრებულთ. ამის შემდეგ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ხელმძღვანელობის ქვეშ დაარსებულმა განსაკუთრებულ სარჩეველმა კომიტეტმა, რომელსაც უნდა გამოენახა საშუალება სამრეველო სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,

შემდეგ ჯეროვან ცნობათა შეკრებისა ყველა სამრევლო სამღვდელოების რაოდენობასა, მდგომარეობასა და საჭიროების შესახებ იმპერიაში, საუკეთესო და უნამდვილეს საშუალებად სამრევლო სამღვდელოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაინახა სამღვდელოებისათვ-ს მუდმივი შემწეობის დანიშვნა ხაზინიდამ და ამ მიზნით შეიმუშავა ნორმალური შტატები კრებულთა შესანახავად. ეს შტატები უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა აპრილის 4 დღესა 1842 წ. და სამღვდელოებისათვის ამ შტატით ჯამაგირების დანიშვნის შესახებ იმავე 1842 წ. უმაღლესად ნაბრძანები იქმნა მიეცათ ხაზინიდამ საჭირო თანხა. ამ სახით ხაზინიდამ 1842 წ. დანიშნულ იქმნა ყოველწლიურად სამღვდელოების შესანახავად 415,000 მ.; 1843 წელ.—1,000,000 მ. 1844 და 1845—ყოველ წლობით 250,000 მ.; 1846 წლიდამ 1860 წლამდე (გარდა 1858 წლისა) ყოველ წლობით 100,000 მ.; ასე რომ 1861 წლისათვის სამრევლო სამღვდელოების შესანახავად 1842 წლის შტატით უწმ. სინოდის ხარჯთა-აღრიცხვით ყოველ წლობით ინიშნებოდა 3,715,000 მან. ეს ფულები დანიშვნის და გვარად ნაწილდებოდა თავდაპირველად დასავლეთის მხარის სამღვდელოების შესანახავად, ხოლო შემდეგში რუსეთის და სიბირის დანარჩენ მხარეებშიაც. შემდეგ 1861 წელში საფინანსო ხარჯთა-აღრიცხვის შედგენის ახალი წესის შემოღებისა და ხარჯთა-აღრიცხვაში ახალი კრედიტების დანიშვნის მოხდენისა შემდეგ ფინანსთა მინისტრის დაკითხვისა, ხაზინიდამ ნელ-ნელა ფულების დანიშვნა სამღვდელოების შესანახავად რუსეთის დანარჩენ ეპარქიებში მოისპო და მთავრობა შეუდგა ადგილობით საშუალებათა გამონახვას, რომ შემდეგში უზრუნველ ეყო სამღვდელოება. მაგრამ 1862 წელში ამ მიზნით დაარსებულმა განსაკუთრებულმა მართლ-მადიდებელი სამღვდელოების საკრებულომ, თავის 23 წლის მოღვაწეობის განმავლობაში, ვერ გამონახა ვერავითარი სხვა საშუალება სამღვდელოების შესანახავად, გარდა სამრევლოების შემოკლებისა და ამის გ მო სამღვდელოების რიცხვის შემცირებისა იმ მიზნით, რომ ამით გაედიდებიათ ჯამაგირი დანარჩენ ეკკლესიების კრებულთათვის. ამისთანა ზომას თან მოჰყვა ბევრი სამწუხარო შედეგები ბევრ შემთხვევაში და, სხვათა შორის, ამ ზომამ გააძლიერა მწვალებლობა; რუსეთის დანარჩენი ნაწილის სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის გითხვა, რომელიც ასე წარმატებით მიდიოდა 1842 წ. 1860 წლამდე, ამ უკანასკნელი წლიდამ სრულებით არ წაწეულა წინ. მხოლოდ იყო კერძო შემთხვევები, რომელნიც გამოწვეულ იქმნენ განსაკუთრებითი გარემოებით, რომელთა მეოხებით, უწმ. სინოდის წარდგენებებით, ინიშნებოდა ფულები სამღვდელოების შესანახავად სხვა-და-სხვა ადგილებში. ამგვარად, პოლშის აჯანყების შემდეგ მესამოცე წლების დასაწყისში მთავრობამ საჭიროდ დაინახა დასავლეთის მხრის სამღვდელოებისათვის ჯამაგირების გადიდება. წინააღმდეგ თავდაპირველ ნორმალური შტატებისა. 1867 წელში პრიბალტიის მხრის განსაკუთრებულ პირობათა გამო, გადიდებულ იქმნა რიგის ეპარქიის სამღვდელოების ჯამაგირები, ასე რომ ჯამაგირებით აქაური სამღვდელოება გათანასწორებულ იქმნა ნემცების პასტორებთან. 1875 წელში, შემდეგ ხოლმსკო-გრეკო-უნიატების ეპარქიის მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან შემოერთებისა, დანიშნულ იქმნა განსაკუთრებული თანხა შემოერთებული სამღვდელოების შესანახავად. დღევანდელს ბედნიერ მეფობის დროს ხაზინიდამ დანიშნულ იქმნა კარგა დიდი თანხა კავკასიის სამღვდელოების შესანახავად, და აგრეთვე რიგის და კამჩატკის ეპარქიებში ახლად დაარსებულ კრებულთათვის, სათათრეთიდამ ახლად შემოერთებულ სამთავროებში და რუსეთის სხვა განაპირა მხარეებში.

დღეს იმპერიის სამრევლო სამღვდელოების შესანახავად ხაზინიდამ გამოდის 6,329,143 მ., რომელიც ნაწილდება 19,000 სამრევლოების კრებულთა შესანახავად, როდესაც ყველა სამრევლო ეკკლესიების რიცხი რუსეთში ადის 39,000-დე. ამ აღნიშნული 6. 329,143 მ. 3.650,000 მანეთი მიდის დასავლეთის, პრიბალტიის, პრივისლიანსკის და კავკასიის ეპარქიების კრებულთა შესანახავად, დანარჩენი 2.680,000 მ. ნაწილდება რუსეთის და სიბირის სხვა-და-სხვა კუთხეებში; ევროპის რუსეთის შინა ეპარქიებში ეს მადლი დღემდის არ არის გავრცელებული, ასე რომ მოსკოვის, ვლადიმირის, იაროსლავის, ვიატკის, რიაზანის, ტვერის ნაწილში, ტულის, ეკატერინეტის, ტამბოვ-სკის, პენზის ნაწილში, ნიჟეგოროდის, სიბირსკის, ორლოვის, კურსკის, დონის და კიშინევის ეპარქიების სამრევლო სამღვდელოების უმეტესი ნაწილი დღემდისაც იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ საფასით, რომელსაც მათ აძლევენ რაიმე მღვდელ-

მოქმედების აღსრულებისათვის და სახელმწიფო მიწების მიცემით და ხაზინიდამ კი არაფერს შემწეობას არ იღებს.

ამ სახით სამრეველო სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე, რომელიც ასე წარმატებით იქმნა დაწყებული ნეტარხსენებული იმპერატორის ნიკოლოზ პაველეს ძის სურვილით, დარჩა დაუმთავრებელი,—და ისიც ამისთანა ეპარქიებში, რომლებიც შეადგენენ რუსეთის სახელმწიფოს გულს,—მხოლოდ იმის გამო, რომ აუხეიეს იმ გზას, რომელიც ამისათვის იყო ნაჩვენები ხელმწიფე ნიკოლოზ პაველეს ძისაგან; და რომ შემდეგ მეფობათა დროსაც მთავრობას განეგრძო სელა სამღვდელოების ნივთიერად გაუმჯობესების საქმეში ამ გზით, მაშინ დღეს ყველა ეპარქიების სამღვდელოება ისარგებლებდა იმ მცირე შემწეობით, რომელიც დანიშნულ იქმნა სამრეველო სამღვდელოებისათვის 1843 წელში ყველა შემდეგ მთავრობათა, აგრეთვე ყველა კომიტეტებმა და მართლ-მადიდებელი სამღვდელოების საქმეთა არსებულმა საკრებულომ ვერ შეიძლეს გამონახვა ვერავითარიმე სხვა საშუალებისა სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცხადია, რომ შემდეგშიაც არ შეიძლება გამოინახოს სხვა უფრო ნამდვილი საშუალებანი ამ საქმისათვის. იმ წესის აღდგენისა, როგორი წესიც დადგენილ იქმნა იმპერატორ ნიკოლოზ პაველეს ძისაგან და რომელიც მოქმედებდა 1842 წლიდამ 1860 წლამდე, ე. ი. ნელ-ნელა გადადებულ იქმნეს ხაზინიდან უწმიდესი სინოდის განკარგულებაში 100,000 მანეთი მაინც ყოველ წლობით იქნობამდე, სანამ რუსეთის ყველა ეპარქიებში არ ექნება დანიშნული ჯამაგირი სამღვდელოებას. ამ მიზნის მიხწევა მოსპობდა იმ სამწუხარო უსწორ-მასწორობასაც, რომლის გამო დღეს იმპერიის სამღვდელოების უმეტესი ნაწილი არ სარგებლობს ერთი იმ უმთავრესი უფლებით, რომელიც მინიჭებული აქეს ყველას, მთავრობის თვით მცირე მოსამსახურეთაც კი. იმ მოსაზრების წინააღმდეგ, ვითომ შემდეგშიაც არ შეიძლება სხვა უფრო საიმედო საშუალებათა გამონახვა სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გარდა იმ წესის აღდგენისა, როგორიც დადგენილ იქმნა იმპერატორ ნიკოლოზ პაველეს ძისაგან და რომელიც მოქმედებდა 1842 წლიდამ 1860 წლამდე, ე. ი. რომ ყოველ წლობით ხაზინიდამ ნელ-ნელა ინიშნენოდეს უწმ. სინოდის განკარგულებაში 100,000 მანეთი მაინც იქნობამდე, სანამ ყველა ეპარქიებში დაინიშნებოდეს სამღვდელოებას შემწეობა», მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ კეთილ ინება თავისი საკუთარის ხელით დაწერა: ფრიად სასურველია აღდგენილ იქმნეს ეს წესი.

ამის შემდეგ ყოველად უმოწყალესმა ხელმწიფე იმპერატორმა, რომელიც მუდამ მამობრივად ზრუნავს თავის კეთილ-მორწმუნე ქვეშევრდომთა დეკეთილობისათვის, პირის პირ განუცხადა ფინანსთა მინისტრს თავისა უმაღლესი ნება, რათა გამონახულ იქმნეს საშუალებანი, რომ ნელ-ნელა უზრუნველ იქმნეს სამრეველო სამღვდელოება ამ მდგომარეწლიდამ მოყოლებული: ამ უმაღლესი ბრძანების აღსასრულებლად უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა დეკემბერში ამა წლისა შეიტანა წარდგენილობა სახელმწიფო რჩევაში, რომ 1893 წლისათვის დანიშნულ იქმნეს ხაზინიდამ სამღვდელოების შესანახავად 250,000 მ. და შემდეგშიაც ნელ-ნელა ინიშნებოდეს დამატებითი თანხა იქნობამდე, სანამ მთელი იმპერიის სამღვდელოებას დაინიშნებოდეს შემწეობა. სახელმწიფო რჩევისაგან მოხდენილს დადგენილობაზე, რათა უწმ. სინოდის საფინანსო ხარჯთა-აღრიცხვაში ამ მიმდინარე წლისა შეტანილ იქმნეს აღნიშნული თანხა, 28 დეკემბერს წარსული წლისა გამოვიდა შემდეგი უმაღლესი ნება-რთვა.

უწმიდესმა სინოდმა მიიღო რა დიდის ნუგეშით ამბავი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ასეთ ყოვლად მოწყალე ყურადღებისა მართლ-მადიდებელი სამღვდელოების საჭიროების შესახებ, უწინარეს ყოველისა დაადგინა შესწიროს უფალსა ღმერთსა სამადლობელი ლოცვა კეთილმორწმუნე ხელმწიფისა და სრულიად მისი უავგუსტოესი სახლობის მშვიდობისა და მრავალ-ჟამიერობისათვის, როგორი ვედრებაც შესრულებულ იქმნა დღესასწაულებრივი მსახურებით ისაკიევის საკრებულო ტაძარში იანვრის 24 დღესა. ამასთან ერთად მიანდო ობერ-პროკურორს მიართვას მის იმპერატორებით უდიდებულესობას შემდეგი წერილობითი მადლობის გრძნობათა გამომხატავი ადრესი უწმიდესი სინოდისაგან ამ შემთხვევისა გამო:

„უკეთილმსახურესო ხელმწიფევ!

თქვენი მეფობის პირველი დღეებიდგანვე შენ, როგორც უმაღლესს მფარველს მართლ-მადიდებელი

ეკლესიისას, თქვენ კეთილმსახურ წინაპართა მსგავსად, ყოველთვის ყურადღებით და მხურვალე მონაწილეობით შედიოდით ეკლესიის მოსამსახურეთა მდგომარეობაში, განსაკუთრებით სამრევლო სამღვდელოების მდგომარეობაში, და საჭირო შემწეობას მიაღლენდით იქით, სადაც სიღარიბე და საჭიროება უფრო თვალსაჩინოდ იხედებოდა და ცხადად სჩანდა. დღეს, არა მიმხედველი კერძო შემწეობათა, შენ მიხედე შენი პაპის ნეტარხსენებულის იმპერატორის ნიკოლოზ პაველეს ძის ბრძნულს და კეთილის მყოფელს აზრს, რათა მთელს სამრევლო სამღვდელოებას დაენიშნოს მუდმივი შემწეობა სახელმწიფოდამ და ყოველად უმოწყალესად ბრძანებ: აღდგენილ იქმნეს ამ აზრის განხორციელება.

ასეთი ხელმწიფური მოწყალების ამბავი გამოუთქმელად გაახარებს ღარიბ მღვდელ-მოსამსახურეთ. იგინი მხურვალედ შეევედრებიან ღმერთს თქვენთვის ღვთის წინაშე. თქვენი ქველის-მოქმედება დაუვიწყარად დარჩება მთელს ჩამომავლობაში. შემწეობა, რომელიც დღეს ენიშნება სამღვდელოებას, თქვენის, ხელმწიფეე, მოწყალებით, იქონიებს კეთილს შედეგს; ეს შემწეობა გაამხნევებს სამღვდელოების მწყემსებრივ მსახურებას, გააგანიერებს, აღამაღლებს და გააძლიერებს ამ მოღვაწეობას თქვენთვის ასე დიდად სასურველს ხალხის განათლებას თანახმად მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა და თქვენი ერთგულებისა საკეთილდღეოდ ეკლესიისა და სახელმწიფოისა.

სინოდი, რომელსაც აწუხება საძრევლო სამღვდელოების მწუხარება და ახარებს მისი მხიარულება, შენს ხელმწიფურს მოწყალებაში სამღვდელოებისადმი ხედავს თავისთვისაც დიდს ნუგეშს და, აღგზნებული ლმობიერი გრძნობით, საღმრთო მოვალეობად რაცხს მოგიზღვნას თქვენ ფერხთა წინაშე თავისი უგულითადესი მადლობა. შენი მოწყალებისათვის იგი ლოცვით მოიწოდებს ღვთის მოწყალებას და ღვთის კურთხევას შენზე, დიდო ხელმწიფეე, შენს უაეგუსტოეს ოჯახობაზე, შენს სახელმწიფოზე, ყოველიეე შენს კეთილს სამეუფო საქმეებზე და დაწყებულებაზე, და ღრმა უქვეშევრდომილესი სიყვარულით ევედრება, რათა დაგიფაროს შენ უფალმა მრავალსა წელსა».

მათმა იმპერატორებით უდიდებულესობამ, რომელმანც უმოწყალესად მიიღო უწმ. სინოდის ასეთი აღრესი, წარსული თებერვლის 28 დღესა კეთილინება დაწერა მასზე შემდეგი შესანიშნავი სიტყვებისა, რომელნიც სამუდამოდ დაუვიწყარად დარჩება სამღვდელოების გონებასა და გულში: „გულითადად ვმადლობ უწმ. სინოდს გამოთქმული გრძნობისათვის. სრული მხიარული ვიქნები, როცა შევიძლებ უზრუნველ-ვყო მთელი სამრევლო სამღვდელოება“.

განჩინება უწმიდესი სინოდისა

4 მარტიდამ 1893 წლისა № 519, შესრულებისათვის სამადლობელი უფლისა ღვთისადმი პარაკლისისა მეფის მოწყალებისა მართლ-მადიდებელი სამღვდელოებისადმი.

უქაზისამებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმ. უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. ობერ-პროკურორის ამხანაგისა, რომლითაც განუცხადა უწმ. სინოდს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად მიიღო უქვეშევრდომილესი აღრესი სინოდისა, რომელშიაც გამოხატული იყო მადლობითი გრძნობანი ყოველად უმოწყალესად ბოძებისათვის ხაზინიდამ ფულებისა სამღვდელოების შესანახავად და წარსული თებერვლის 26 დღესა უმაღლესად ინება დაწერა: **გულითადად ვმადლობ სინოდს გამოთქმული გრძნობისათვის. სრული მოხარული ვიქნები, როცა შევძლებ უზრუნველ ყოფ მთელი სამრევლო სამღვდელოება.** ბრძანეს: დიდის მადლობით უფლისა ღვთისადმი მოვისმენეთ რა შესანიშნავი სიტყვები უკეთილმსახურესი ხელმწიფე იმპერატორისა, უწმიდესი სინოდი ადგენს: ეს ხელმწიფის მოწყალება გამოეცხადოს სინოდის წევრთ და სხვა ეპარქიების მღვდელ-მთავრებს ცირკულიარულად, «საეკლესიო უწყებაში» დაბეჭდვით, რათა მოიწეიონ მათ მართლ-მადიდებელი სამღვდელოება და ამ დიდად შესანიშნავ შემთხვევისათვის შეასრულონ სამადლობელი უფლისა ღვთისადმი პარაკლისი მუხლ-მოდრეკით და წარმოთქმულ იქმნეს მრავალ-ჟამიერობა ხელმწიფე იმპერატორისა და მთელი სამეუფო სახლეულობისათვის.

ისე გამოაცემინოს. ენის კანონებიც ბევრგანაა დარღვეული, როგორც ეს საერთოთ ყველა ჩვენებურ პროზით მწერლებს აქვსთ დღეს.

არა თუ „ევფხისტყაოსანი“, არამედ სხვა საყოველიერო უკვდავი ნაწარმოებნიც რომ გადმოითქვას, როგორც მაგალითად, ტროადინი, ოდისეიანი და სხ. დიდ სარგებლობას მოიტანს. როცა „მოზდილ ყმანი» მომწიფდებიან, დედანს თვითონ წაიკითხვენ და დაწვრილებით შეიგნებენ კიდეცა.

ქართული ენის მასწავლებელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ მცირე შენიშნვას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ «მწყემსში».

ერთი მეგრელის ოჯახში მე ვიპოვე ერთი შესანიშნავი ძველი ხელნაწერი წიგნი სახელად „სამოთხის ყვავილი». წიგნს აქვს ცოტად დაძველებული მაგრამ მშვენიერი ყდა, შეიცავს 399 გვერდს, სივრცით საწერი ქაღალდის მეოთხედზე ცოტათ ნაკლებია; ეს წიგნი ისე წვრილი ხელით არის ნაწერი, რომ მკითხველს ნაწერის წაკითხვა გაუძნელდება, სანამ არ შეეჩვევა. წიგნი დაყოფილია ათ თავად, და თითოეულს თავში არის დართული ათ-ათი მოთხრობა, მოთხრობაში პირველად არის დარიგება, მერე ისტორიული საუბარი (უმეტესად მონაზვნებზე და ბოლოს შესაფერი დასკვნა. წიგნის თავში ერთს გვერდზე დახატულია ხელით მშვენიერი ყვავილი, და ბოლოს აქვს ორი წარწერა, რომელიც მე აქ უცვლელად მომყავს.

(პირველი წარწერა) „ბეჭედი“

«ღვთივ სულიერსა ამას წერილსა ეწოდების (სამოთხის ყვავილი), მით რომელ წიგნსა მისგან მამათასა. რომელ არს სამოთხე. რჩეევით აღმოწერილ არს და დატკბობილ საღმრთოთა სიტყვებითა. და განათლებულ სარგებელად სულთა ღვთის მოყვარეთა. ვითარ იგი კაცი ბრძენი შერავალნ მტილს წალკოტსა. და მოარჩევენ ყვავილთა შვენიერთა და შეკრავენ ერთად კეთილ-სუნნელთა საყნოსველად მოსურნეთა: და ვითარცა ნერგი შვენიერი ვარჯოვანი სამოთხისა შორის. მზის შარავადედისა მიფენითა გამოილებენ ჰაეროვანსა ყვავილსა ფურცელსა და ნაყოფსა: (ეს ციფრები ასე აწერია) ეგრეთვე სიმართლისა მზისა ბრწყინვალებასა: გულსა შინა მოფენითა. ამის წიგნისა სურვილით მკითხველნი გონებით გამოიღებენ ყვავილთა სათნოებისათა. და რომელნი სხვასაცა ახარებენ სიტყვით წარმოაჩენენ ფურცელსა მადლთა შეძინებისათა. ხოლო საქმით მასრულებელნი შესწირვენ ღმერთსა ნაყოფსა სულისასა ცხოვრებად საუკუნოდ:

რომელსა ჰქონან თვისასა შორის თავნი მსგავსად ათთა მცნებათა მოსეანურთა. პირი განათლებულისა: და თვითოეულსა თავსა შორის ათ თხრობაჲ. მებრ ათთა ნაყოფთა სულისეთა პავლესთა სამცმდე აღწეულისა: და ვინათგან ათგზის ათი შეკრბების ასად. მათ მიეძზაესების»....

(მეორე წარწერა).

«პატიოსანი წიკნი ესე აღიწერა მრავალ მთის უდაბნოსა გარეჯისასა და გლახაკი მწერალი ამისი შენდობასა ვითხოვ რომელ დედანი ფრიად ძველი იყო და შრომითა მრავლითა გარმოიწერა. გარნა უმეტესისა გულს მოდგინებით შემოწმებული: ორ გზის და განმართლებულ არს და ეჭველი სიმართლის მქონებელი და აწ რომელთა გენებოთ გადაწერა ამისი სიფრთხილით გადასწერეთ და სარწმუნო იყვენით და მადლი ღვთისა შემწე გეყოსთ საცხოვნებელად სულისა»:— წელსა ᲘᲚᲥᲨ სეკდემბერს ᲥᲜ:

ყველა მოთხრობანი, თითქმის, ერთგვარად არის დაწყობილი. მომყავს მინუშად ერთი ამ მოთხრობათაგანი:

«თხრობა სულიერი ჲდ სამართლისათვის ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘᲡ:

«ღვთივ სულიერნო შვილნო ეკლესიისანო! უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს. ნუ სჯით თვალთაღებით არამედ სამართალი სასჯელი სჯეთ: საყვა-

რელნო სამართალი ჭეშმარიტი ჰშვენის ჩვენ-
და ქრისტიანეთა. რათა ამითცა სათნოებითა მი-
ვემსგაჟსნეთ ქრისტესა მეუფესა ჩვენსა. რომელი იგი
მართლმსაჯულ არს და არავის თვალაღებს პირსა კა-
ცისასა და ჩვენცა არა რომელიმე სახეთა გარდავაქ-
ცევდეთ სამართალსა. არამედ ჭეშმარიტებით ესჯიდეთ
ღეთის მოშიშებით. და მართლ-მსაჯულებით:

რამეთუ წმიდასა მთავარ ეპისკოპოსსა ეპიფანეს,
ჰყვანდა კრებულად ოთხმოცი მონაზონი და შორის
მათსა იყო ვინმე პატიოსანი და კეთილ გონიერი
სახელით საბიანე. რომელიცა ესე დაადგინა სჯად
საეკლესიოთა საქმეთათვის: დღესა ერთსა მოვიდნენ
ორნი მომჩივარნი: ერთი მდიდარი იყო: და მეორე
გლახაკი. და სამართალი მას შესწევდა. გარნა საბია-
ნე გლახაკთ წყალობისათვის ინება გლახაკისა მის
განმართლება და მცირედ სამართალი გარდააცილა:
ხოლო წმიდა ეპიფანე სდგა ადგილსა ფარულსა და
ისმენდა ბჭობასა მათსა. ესე რა იხილა. მაშინ შევიდა
ცხადად და თვით განბჭო საქმე იგი. მდიდარი განა-
მართლა, ვინადგან მართლობდა და გლახაკსა მას
მოწყალება მისცა საიდუმლოდ და განუტევა: მერე
საბიანეს ამხილა სიყვარულით და რქვა: შვილო ჩემო
საყვარელო! საღმრთო წერილი იტყვის არა შეიწყა-
ლო გლახაკი სასჯელსა შინა; ესე იგი არს ვითარმედ
დაღაცა თუ გლახაკი იყოს უსამართლო რომელთა
და მოწყალება ბრძანებულ არს ჩვენდა, ნუ მისდრი-
კებინ სამართლისაგან, არამედ სამართალი ჭეშმარიტი
ჰშვენის და გლახაკთა მამართ მოწყალება საიდუმ-
ლოდ: ესრედ განსწავლა ღირსი იგი საბიანე და მი-
ერიდგან მართლად სჯიდა სამართალსა და ადიდებდა
ღმერთსა:—

იხილეთ, პატიოსანო მსმენელნო, უკეთუ გლა-
ხაკთა წყალობისათვის არა ჯერ არს სამართლისა
გარდაქცევა. გლახაკთა ვიტყვი. რომელნი ქრისტეს
ძმად წოდებულ არიან. რომელთადა წყალობაცა
ფრიადი თანა გვაძს და უკეთუ ვინნე მდიდართა კაკ-
თა სათნო ყოფისათვის: ანუ ქრთამისა. გარნა რო-
მელითამე საქმითა თვალ ღებით. სამართალი გარ-
დააქციოს. არა უწყი თუ ვითარი სასჯელი მიიწიოს
მის ზედა. რაჟამს მართლმსაჯული იესო სჯიდეს ყო-
ველთავე და მიაგებდეს კაცად კაცადსა საქმეთა სიტ-
ყვითა მათთა ებრ:

ამისათვის გლოცავთ და გევედრებით ქრისტეს
მოყვარენო სამართალსა ჭეშმარიტსა ესჯიდეთ და
უკეთუ ვისიმე მომადლება და სიყვარული გვენებოს.
გინა გლახაკთ წყალობაჲ ნუ სამართლის გადაქცე-
ვით მოვიმადლებთ დასასჯელად სულთა ჩვენთა. არა-
მედ სხვათა სახითა აღვასრულოთ პატივისცემა მათი:
და სიყვარული კეთილად და ღვთივ შვენიერად და
სამართალი ჭეშმარიტი დავამტკიცოთ უცდომელად
ვითარცა წერილ არს. უკეთუ იქმოდეთ სიმართლესა
ჭეშმარიტებასაცა ზრახვიდით ძენო კაცთანო:

ჰე გევედრებით საყვარელნო ძმანო ვინათგან
სამართალი ჭეშმარიტი ჯერ არს. მაშა (ამაზედაცა)
ამაზედაცა ჭეშმარიტი სამართალი ჰშვენის ჩვენდა.
რომელ სული ჩვენი გლახაკ და უწყალო დაგვი-
ტევებიეს და ხორცი შვებით და პატივით შეგვიმკიეს,
რომლისათვის უფალი ბრძანებს. ანუ არა რასათვის
თავით თვისით არა სჯი სამართალსა. ესაჯოთ საყ-
ვარელნო თავსა შორის ჩვენსა ჭეშმარიტი სამართა-
ლი და ვითარცა სული უფროს არს ხორცი არა ეგ-
რეთვე უმთავრესიცა ნაწილი სულისა ჰშვენის მიცე-
მად. ვინაჲგან ყოველივე სულიერი საუკუნო არს
და ხორციული საწუთო: რამეთუ ყოველივე ხორცი
თივა არს და ვითარცა ყვავილი ველისა: სულისა ნა-
წილ არს მოწყალება ხოლო ხორცთა შემკობა: სუ-
ლისა ცხოვრება არს მარხვა. ხოლო ხორცთა ჭამა:
სულისა სარგებელ არს მოღვაწება. ხოლო ხორცთა
განსვენება: სულისა სათნო არს ლოცვა. ხოლო
ხორცთა ძილი: არამედ ვანეყოთ საცხოვრებელი ჩვე-
ნი ძმანო მივსცეთ ღვთისა ღმერთს. ლოცვა და სათ-
ნოება სულსა: ხოლო კეისრისა კეისარს. ძილი და
ჭამა უცოდველი ხორცთა. და სიმართლით კეთილად
წარვლოთ წუთი ჟამისა ესე ცხოვრება. რათა საუ-
კუნესა ცხოვრებასა მივიწივნეთ და ვითარცა სულ
არს ღმერთი. ეგრეთვე სულითა და ჭეშმარიტებითა
თაყვანივსცეთ მამასა და მართლმსაჯულსა ძესა და
სულსა ყოველად წმიდასა რომელი სუფევს და იდი-
დების უკუნითი უკუნისამდე. ამინ».

ჩემის აზრით საჭიროა ყურადღება მიაქციონ
ამ წიგნს ვისგანაც ჯერ არს.

ამბაკო ჯავახია

საისტორიო მასალა.

ბუჯრგბი.

(გაგრძელება *)

ქ: სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოისა
რომელი იგი მხოლო არს ერთი არსება ერთი
ღვთაება ერთი ძალი ერთი ნება ერთი მომქმედება
ერთი დასაბამი ერთი ხელმწიფება ერთი უფლება
ერთი მეუფეჰბა სამთა სრულთა გვამთა შინა ცნო-
ბილი და მსხურებელი (?) არა რომელსა საზომისა-
გან ცნობილი არამედ თვისთა არამედ ვითარცა
ოდენ ნებათა განზომილი ყოველთა მპყრობელი და
მფლობელი უხრწნელად ყოველთა არსებათა ზედან
შამაეალი ზესთა ღმერთი და ზესთა სახიერი პირველი
მთავრება და წესთა განმაჩინებელი თვით ნათელი
თვით სახიერება პირველი და უკანასკნელი ღმერთი
ძრიელი და ხელმწიფე მამა მესამეთა მათა საუკუნეთა
რომელი ბრძანებათა დაიბადნეს ყოველივე იძრვისი (?)
და მოსიტყვე და უსიტყვენი ამა ერთისა ზეცისა ძა-
ლითა მეუფისა დიდისა ძირ უხსენებელის და გარე
შამოუწერელის ღვთისა მამისა და ღვთისა ძისა
ღვთისა სულისა წმინდისა სამებით განუყოფელის
ორ ბუნებით სრულის ერთ არსებათ დიდებულის
ღვთის თავდებობითა მინდობითა და შუა მდგომელო-
ბითა უმაღლესის ცათა უწმინდესის ქერობინთა (sic)
პირველ შობასა ქალწულისად შობასა ქალწულისა
და კეეალად შობასავე ქალწულისა ყოველად წმინ-
დისა მღვთის მშობლისა მარადის ქალწულისა მარი-
ამისა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომელო-
ბითა რომელსა ზედაან უფალმა ჩვენმა იესო ქრის-
ტემ მისცა თაეი სიკვდილათ განიპყრა მკლავი თვისი
განიღო გვერდი მისი გარდამოსთხია სისხლი და წყა-
ლი ძელსა ზედან კერპთა დამთურგვნელი ეშმაკთა
განმატებელის (sic) მცხოველს მყოფლისა პატიოსნისა
ჯვარისა ძელი ჭეშმარიტის თავდებობითა მინდობითა
და შუამდგომელობითა წმინდისა ზეცის ძალითა ერის
მთავარისათა და მუდამ ღვთის წინაშე მდგომარენის
და ღვთის ბძანებას წამდაწუმ მარიგებელის მთავარი
ანგელოზის მიქაელ და გაბრიელის თავდებობითა და
შუამდგომელობითა სხვათა წმინდათა ანგელოზთა
უფლებათა და ხელმწიფებათა ყოველთა უხრწნელთა
ზეცის ძალთა მათისა თავდებობითა და შუამდგომ-
ლობითა წმინდისა დიდებულისა ყოველთა დედათა
ნაშობთა უმეტესის წინასწარმეტყველისა და წინა-
მორბედისა ნათლის მცემლისა იოანეს თავდებობით
და შუა მდგომლობითა პეტრე კლდე სიმტკიცის და
პაველ პირ ქრისტესისა თავდებობითა და შუამდგომ-
ლობითა რომელთა უბრძანა უფალმან ჩვენმან კრულ
ყოთ კრულ იყოს და ხსნილყოთ ხსნილიყოს იმ
წმინდათა ათორმეტის მოციქულის თავდებობითა
მინდობითა და შუა მდგომლობითა წმინდათა ყო-
ველთა სჯულთა დამამტკიცებელისა წმინდისა ნიკო-
ლოზმისონ ქალაქისა ლუკს (sic) შემამკობელისა
წმინდისა კაბადუკელისა მღვდელთ მოძღვრის ბასილ
და ხმა ტკბილად მხმობარსა და ოქროსაებრ პირ
ბრწყინვალეს იოჰანე ოქრო პირის და რომელთა
იშვებს ერი და განცხრების ეკკლესია და წა (წმიდა-
თა?) ბრძენთა კრებული წმინდის გრიგოლის ღვთის
მეტყველისა თავდებობითა და მინდობითა და შუა
მდგომლობითა ყოველთა ქრისტიანეთა მოგეფინეს
მადლი და ნათელი უფლისა და განგაშორეს ურჯუ-
ლოება და გიქადაგეს სახარება ოთხთა თავთა მახა-
რობელთა მათე მარკოზ ლუკა და იოანე მახარებე-
ლის თავდებობითა მინდობითა და შუა მდგომლო-
ბითა სხვათა წმინდათა მოწამეთა დიდთა შვიდ წილ
უძლეველის (უძლეველის?) სამას სამოცდა ხუთის სას-
წაულ მოქმედის მხნე ახოვანის დიდის მოწამის გი-
ორგისა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლო-
ბითა ხხვაც წმინდათა დიდთა მოციქულთა წინასწარ-
მეტყველთა მამათა მეუდაბნეთა მესვეტეთა განშო-
რებულთა დაყუდებულთა მხედართა ქალწულ მოწა-
მეთა და სხვანი რანიც წმინდასა დიდსა საუფლოსა
სვინაქსარშიდ სწერიან და მოიხსენებიან მათითა ყო-
ველთა წმინდანის თავდებობითა მინდობითა და შუა
მდგომელობითა ესე უთუო უთუმცა მიზეზ შამოუ-
ლებელი დრო შამოუგდებელი ყოელის ჩხუბისაგან და
იდიათისაგან გამოსული წყალობისა საფიცარი წიგნი
ფარეან გუჯარი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ მღვთის
მიერ კურთხეეთ აღმატებულმან ძრიელმან და მღვთით
არეისგან ძლეურმან მღვთის ზეცით გვირგვინოსანმა
მეფეთ მეფემ პატრონმა სოლომონ და თანამეცხედ-
რემან ჩვენმან დედოფალმა შაურაშიძის ასულმა ბა-
ტონმა თინათინ თქვენ აბაშიძეს ზაალს და თქვენს

*) ის. „მწყემსი"-ს № 22 (1892 წ.).

ძმისწულებს ზურაბს და ვახუშტის და თქვენს ძესი და მომავალსა ასე და ამა პირსა ზედან რომე თქვენის სახლის კაცისაგან თქვენც ბევრი უსამართლობა გჭირდათ და ჩვენც ორგულად შეგვექნა და გადაგვაგდო და ცათა სწორმა ხელმწიფემ წყალობა გვცა ბედნიერი ვეზირის ბძანებით და გარიგებით ბედნიერმა ვეზირმა აჯიფაშამ თავისი ქმნა(?) ჯარით გვიბოძა და მტერის ციხე და მამული დაგვაჭირვინა და თქვენ მოხვედით და შამოგვეხვეწეთ და გაგვირიგდით და ჩვენ ეს იმედის საფიცარი წიგნი გიბოძეთ თუ დღეის იქით თქვენ ჩვენი ერთგული იყოთ არც წახდენით არც დაჩაგვრით და გალარიბებით სიკეთისა და წყალობისა მეტი საზიანო და საფიქრებელი საქმე თქვენ ჩვენგან აღარაფელი გქონდესთ ამისად გასათავებლად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი ძვეყანისანი ხორციელნი და უხორცონი აწ ვინცა ვინ ჩვენგან მოცემულს საფიცარს შლად ხელყოს კვირას შეგიშალოს კვირაცხოველი თავად აღდგომა იესო ქრისტე რისხვეს ამიერ და იმიერ სოფელსა ორშაბათს შეგიშალოს მთავარ ანგელოზი მიქელ და გაბრიელ და სხვაც ზეცის ძალნი ანგელოზი რისხვეს სულთა და ხორცთა წინაშე ღვთისა სამშაბათს შეგიშალოს მასამც რისხვეს ყოველთა იმედათა(?) ნაშობნი წინასწარმეტყველი წინა მორბედი იოანე ნათლის მცემელი და ყოველი წინასწარმეტყველი სულთა და ხორცთა წინაშე მღვთისა ოთხშაბათს ვინც შეგიშალოს მასამც რისხვეს თავად ყოვლად წმიდა მღვთის მშობელი და მისაგან განხორციელებული იესო ქრისტე სულთა და ხორცთა თუ ხუთშაბათს შეგიშალოს ვინმე მასამც რისხვეს ათორმეტი მოციქულნი და სხვანიც რანიც მოციქულნი არიან ყველანი რისხვეს სულთა და ხორცთა წინაშე ღვთისა. თუ პარასკევს შეგიშალოს ვინმე თავათ მას რისხვეს ჯვარცმა იესო ქრისტესი და მისი ჯვარი ცხოველის მყოფელი ძელი ჭეშმარიტის სულთა და ხორცთა თუ შაბათს შეგიშალოს ვინმე მასამც რისხვეს იოანე ქალწულ მახარობელი და ყოველნი წმინდანი რისხვეს სულთა და ხორცთა წინაშე ღვთისა ამის შემშლელს ღმერთო მიეცი ძრწოლეა კაენისა, შიშთვთილება იუდისა დანთქმა დათან და აბირანისი და ამ საფიცრის დამტკიცებელი დაამტკიცებელი დაამტკიცოს სამებით დიდებულმა ღმერთმა და მისმა წმინდათა უმიწოდ მათის მშობელმა ასე კეთილად დაამტკიცოს ვითარცა აბრაამ ისაკ და იაკობ სულთა და ხორცთა ისე გააძრიელოს კაცთაგან ამისი მოწამე და გამრიგე ერისთავი გიორგი სახთხუცესი ჯაფარიძე როსტომ მაჭავარიანი ქაიხოსრო იაშვილი ეახტანგ წერეთელი სვიმონ აგიაშვილი ქაიხოსრო. დეიწერა ხემწიფის ბძანებით მდივანის ჩვენის დათუნას ხელით ქ-ს შმა.

ბეჭედი. მონა ღვთისა ყმა ხონთქრისა
მეფე სოლომონ.

მ. კელ—ძე

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III უმაღლესი ბრძანება, რათა დღეიდგან ყოველ წლობით გადიდებულ იქმნეს ხაზინიდამ 250,000 მანეთი სამღვდელოების შესანახავად, ელვასავით მოედო ჩვენს სამღვდელოებას. ეხლა მრავალი სამღვდელო პირი გვეკითხება, თუ რამდენი შეხვდებათ თითოეულ მღვდელს ამ უმაღლესად ბოძებული ფულისაგან? აი რას უპასუხებთ ამ პირთ: ამ ახლად დანიშნული ფულებიდამ ჩვენს საქართველოს სამდვდელოებას არაფერი არ ერგება. ამ ფულებიდამ იმ გვარიე შემწეობა, როგორიც ჩვენს სამღვდელოებას ეძლევა ხაზინიდამ, უნდა დაენიშნოს რუსეთის შინაგან ეპარქიების სამღვდელოებას, რომელიც ამავე ნომერში დაბეჭდილი უწმიდესი სინოდის უქაზის სიტყვით, მოკლებული იყო დღემდე ამისთანა შემწეობას. თუ რიგიანად ითხოვეს, იმედია, რომ ამ ფულებიდამ შემწეობა დაენიშნოსთ ჩვენში მარტო იმ კრებულთ, რომელნიც უჯამაგიროდ დარჩენ.

***

ქუთაისის გუბერნიაში ბევრგან სამრევლოები ძლიერ ემდურებიან ეკკლესიების სტაროსტებს, რომ მათ ყალბი სანთელი მოაქვსთ ეკკლესიებში სახმარებლადო. უწმიდესი სინოდის უქაზით სასტიკად

აღკრძალულია ყალბი სანთლის ხმარება ტაძრებში და გვიკვირს, თუ რატომ ყურადღებას არ აქცევენ ამ მოვლენას, ვისიც ჯერ არს. მართალია, ყველა ეპარქიებში კი არ არის გამართული სანთლის ქარხნები, მაგრამ რა უშლის იმ ეპარქიის სამღვდელოებას და სტაროსტებს, სადაც წმინდა სანთლის ქარხნები არ იმექონება, რომ საეკლესიო წმინდა სანთელი იქ იყიდონ, სადაც ნამდვილს სანთელს ამზადებენ, და არა იმ მედუქნეებიდამ, რომელნიც ყალბსა და ყოვლად საძაგელს სანთელს ჰყიდიან? ნუ თუ ეს პირნი ვერ ხედავენ, რომ ყალბი სანთლის ხმარებით ტაძრებში ფუჭდება ეკლესიის მხატვრობა და შესამოსლები?...

***

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას ერთ თავის უკანასკნელ კრებაზე ქ. ქუთაისში აღუძრავს კითხვა, თუ რომელი წოდების ყმაწვილები უნდა იქმნენ მიღებულნი ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. კრებას ორიოდე პირს გარდა დაუჯგენია: მიიღონ ამ სასწავლებელში მარტო თავად-აზნაურთა და გლეხთა შვილები და სასულიერო წოდებას უარი ეთქვას, რადგან ეს სასწავლებელი ინახება უმთავრესად საერო და თავად აზნაურთ ბანკისაგან შეწირული ფულებითო. მაგრამ რათ დაავიწყდათ ამ ბატონებს, რომ ბანკში მონაწილეობა აქვსთ ბევრ სასულიერო პირთა და საერო გარდასახადსაც (земскія повинности) თავად-აზნაურებზე და გლეხებზე ნაკლები არ ხდება დღეს ჩვენს სასულიერო წოდებასაც? მოსწავლეთა რიცხვში ერთი წილი თავად-აზნაურთა შვილები უნდა იყოს და ორი წილი გლეხებისა.

***

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ უმაღლესი მთავრობისაგან გადაწყვეტილი იყო ქუთაისის გუბერნიაში ერთი ორ-კლასიანი და ორი ერთ-კლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაარსება. ამ სკოლების შესანახავად საერო ფულებიდამ (изъ земскихъ сборовъ) ყოველ წლობით დაინიშნა 1800 მ. წელსაც ამდენივე ფული გამოსულა ამ სკოლების შესანახავად. ღღეს უმაღლეს მთავრობას სთხოვენ, რომ მომავალი წლებისთვის ამ 1800 მანეთს დაუმატონ კიდევ 1200 მანეთი, რომ ამ ფულებით საეკლესიო-სამრევლო სკოლები გახსნან ბათუმის ოლქში. იმედია, რომ უმაღლესი მთავრობა ამ თხოვნას შეიწყნარებს.

***

დავით ადმაშენებლის ძეგლის დასადგმელად და სამღოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოვებლად

ჩვენ მივიღეთ ასს-ოთხმოც-და-თორმეტი მანეთი, შეკრებილი მღვდელ-მონაზონის ევსევისაგან. ამ ფულებისა იყო დღემდის 1720 მ. 52 კ. ამიანათ არის 1912 მ. 52 კ. ეს ფულები ინახება ქუთაისის სახელმწიფო შემნახველ კასაში.

***

თღვის ტაძრის მღვდლის ალექსანდრე ზედგინიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩვენ თღვის ტაძრის განახლების კომიტეტმა შემდეგ პატივცემულ პირთ: ბ. ვასილ სოლომონ მღვდლის ძეს დიღებულიძეს, რომელმაც შემოსწირა თუღვის სობოროს სამი დაფარნა, ოქრო მკედით ნაკერი, ღირებული 30 მან.; მღვდლის გიორგი ნადირაძის ქვრივს ევდუქიას, რომელმაც შემოსწირა ქართული სახარება ახალი სტამბისა, ღირებული 20 მან. და გლეხის იაკობ ნადირაძის ძეულას ეფემიას, რომელმაც შემოსწირა ქართული გვირგვინები. იმედია, რომ ამ პატივცემულ პირთ სხვანიც მიბაძვენ და დახმარებას აღმოგვიჩენენ, რომ ხსენებული ეკლესია შესაფერად განვაშენოთ.

***

მღვდლის დავით ანთაძისაგან:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემდამო რწმუნებულ ვარძიის ღვთის-მშობლის ეკლესიას შემოსწირეს სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები: აი სია შემწირველთა: აზ. ივანე ყიფიანმა ერთი ხელი სრული სამღვდელო შესამოსელი, ღირებული 32 მ., ახნაურმა ნესტორ ანთაძემ—დაფარნები—10 მ., მ. ხიჯაკაძემ—შანდალი ღირებული 10 მ., ეფ. ხიჯაკაძემ—კიბე, ღირებული 20 მ., ნიკ. ბედიაშვილმა—სტოლი, ღირებული 12 მანეთად.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და საჩარევებლო ცნობათა განყოფილება.

სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

ძლიერ სამწუხარო არის, როცა ზოგიერთი სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურენი ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ შემოსილობას სამღვდელო სამოსლით. არც ის არის სასიამოვნო, რომ ზოგი ნამეტან ყურადღებას აქცევს დიდებულად და მშვენიერად თავის შემოსვას. გარდამეტობა არაფერში არ ვარგა და მღვდლისათვის ხომ მისატევებელი არ არის. ზოგიერთი სამღვდელო პირი ოლარსა და ფილონს ჩაიცვამს, მაგრამ როგორ ადგია ეს სამოსელნი ტანზედ, იმას კი აღარ ეძებს. ზოგს ფილონი გვერდზედ აქვს მოქცეული და გასწორებას არ დაეძებს, თუ მედავითნემ არ გაუსწორა. ზოგს ოლარი ძლიერ მოკლე და შეუფერებელი აქვს და არ ეძებს, რიგიანი მოიპოვოს. სრულ შემოსვის დროს ზოგს სარტყელი ძლიერ დაბლა აქვს შემოჭერილი და ზოგს ძლიერ მაღლა. ყველა ეს ძლიერ აუშნოებს შემოსილ მღვდელს და მლოცველებში ბადავს ცუდ გრძნობას. ზოგს «ნაბედრენიკი» აქვს ჯილდოთ მიცემული, მაგრამ მისი ხმარება არ იცის; ნაცელად იმისა რომ «ნაბედრენიკი» გვერდზედ ჩამოიკიდოს, წინ აქვს ოლარზე ჩამოკიდებული და რითი ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში, არ ვიცით. ამისთანა უცოდინარობას ხშირად დიდ საკრებულო ტაძრებშიაც შენიშნავთ. ძლიერ გვიკვირს, რომ ერთჯერ მაინც როგორ არ შეხედეს ამ პირებმა შემოსილ დახატულ მღვდლებს, თუ როგორ აქვსთ დაკიდებული ან «ნაბედრენიკი» და ან როგორ აცვია სამოსელი? «ნაბედრენიკის» ურიგოდ ხმარების შესახებ წერის დროს უნებლიეთ გვაგონდება ზოგიერთი აკადემიაში ნასწავლნი მღვდელნი. იმათ, მოგვეხსენებათ ყველას, იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოებამ შეიტყოს აკადემიაში მათი სწავლის დამთავრება, მისცეს ნება, თუნუქის, მეტალის ჯვრები დაიკიდონ ანაფორის შესაბნევ ღილზედ მოკლე ჯაჭვით. ეს პატარა თეთრი ჯვრები ხალხის შესახედავთ აქვსთ მიცემული მათ, თორემ სასტიკად აკრძალული აქვსთ წირვა-ლოცვის დროს მისი ხმარება. ყველამ იცის, რომ გიმნაზიებში ხშირად ოქროსა და ვეცხლის მედლებს იღებენ სწავლის კარგად დამთავრებისათვის როგორც ვაჟები, ისე ქალები, მაგრამ არავის არა აქვს უფლება ეს მედლები მკერდზედ დაიკიდოს. მაგრამ ზოგიერთი აკადემიელები ამ ბრძანებას არ ასრულებენ. ისინი ფილონზედ გადმოიკიდებენ ამ ჯვრებს, თუმცა აღკრძალული აქვსთ, რომ მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს არ იხმარონ იგი. შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს: თუ ასე მოსწონთ, დაე დაიკიდონო. მართალია, ამ ჯვრის, ანუ «ნაბედრენიკის» უადგილო ადგილას ხმარებით და დაკიდებით ქვეყანა კი არ დაიქცევა, მაგრამ ეკლესიაში ყველა მოსამსახურე ეკლესიის ტიბიკონს უნდა ასრულებდეს და არა თავის პირად სურვილის ასრულებას მისდევდეს...

— ძლიერ ცუდი შესახედავია მაღალი მღვდელი მოკლე შესამოსელში და დაბალი — გრძელ შესამოსელში. ამისთვის ყოველთვის უნდა ცდილობდენ, რომ შესამოსელი შესაფერი იყოს და ზომიერი მოსამსახურე მღვდლისა.

— მღვდელი და მთავარ-დიაკონი ვალდებულნი არიან, რომ თავიანთ ჩაცმასაც დიდი ყურადღება მიაქციონ. რიგიანად ჩაცმა-დახურვას მაინც და მაინც დიდი ხარჯი არ უნდა. ბევრი ძვირფას ანაფორას იცვამს, მაგრამ მაინც არ ითქმის, რომ კარგად იყოს ჩაცმული. ერთი ტანთსაცმელი რომ ძვირფასი იყოს და მეორე დახეული, არც ეს ვარგა. ანაფორა არ უნდა იყოს წითელი, ან თეთრი და ყვითელი, როგორც ზოგიერთებს უყვარს. ყველაზედ უმჯობესი ფერი ანაფორასი არის შავი, მიხაკის, დარიჩინის, მაყვლის, ცის და წყლისფერი; ეგონეს, ყველა დარწმუნებულია, რომ პატივისცემას თავიანთ სამწყსოთაგან კარგი და ძვირფასი ანაფორით კი არ დაიმსახურებს, როგორც ამას ამტკიცებდა ერთი ახლად ნაკურთხი მღვდელი ამასწინეთ, არამედ თავისი პატიოსნებით, ჭკუით და კეთილი ცხოვრებით.

თუმცა სამღვდელოებას ყოველთვის ეცხადება ხოლმე საუკეთესო მთავრობის უქაზები და განკარგულებანი სხვა-და-სხვა საეკლესიო უწყებათა და ფულთა თავის დროზე წარდგინების შესახებ, მაგრამ ბევრს ავიწყდება გამოცხადებული ვადა. ამისათვის მრავალთა სამღვდელო პირთა თხოვნით ჩვენ შევადგინეთ ტაბელი, მიჩვენებელი დროისა, თუ როდის და რა უნდა წარადგინონ მღვდლებმა ადგილობით ბლაგოჩინებთან. ეს ტაბელი ამავე ნომერში იბეჭდება და ცალკე დაბეჭდილიც შეუძლიანთ მიიღონ მსურველებმა ჩვენი რედაქციისაგან.

ბაბილი

მაჩვენებელი დროისა, თუ როდეს უნდა წარადგინონ კრებულთა საეკლესიო საბუთები, კლიროვის უწყებანი, ეკლესიებში ლანგარზედ შემოსული ფულები სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ და საზოგადოდ მრევლის მღვდლის მოვალეობის აღსრულებისა სამსახურისამებრ.

ორს იანვარს

უნდა წარადგინონ კრებულთა სამხედრო სამსახურში გასაწვევი კაცების მეტრიკის აღმოწერილობანი იმ ფორმით, როგორიც ჰქონდა სამღვდელოებას გამოცხადებული «მწყემსის» ჟურნალით.

ოთხს იანვარს

უნდა წარმოდგინდეს ყველა კრებულთაგან კლიროვის უწყებანი, შედგენილნი კანონიერად და ხელმოწერილნი რიგისამებრ კრებულის ყველა წევრთაგან, სამი ცალი კლიროვის უწყება, უნდა იყოს შედგენილი უკანასკნელად გამოცხადებული სინოდის კანტორის განჩინებისა მებრ.

მართლმადიდებელ (თევდორობის) კვირიაკეს

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ლანგარი შესაკრებელად შეწირულებათა **მისსიონერის საზოგადოების სასარგებლოდ.** მღვდელმა უნდა ჩააგონოს მლოცველებს დიდი მნიშვნელობა იმ საზოგადოებისა, რომელიც ამ საქმეს ტვირთულობს. ამ დღეს შეკრებილი ფული მეორე დღეს კრებულმა რაპორტით, ანუ წერილით უნდა წარადგინოს ადგილობით ბლაღოჩინთან.

ბზობის კვირას

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ლანგარი შესაკრებელად შეწირულებათა **პალესტინის მართლმადიდებელი საზოგადოების სასარგებლოდ** და მეორე დღესვე უნდა წარუდგინოს ადგილობით ბლაღოჩინს წერილით, ან განცხადებით. ლანგარი უნდა იქნეს ჩამოტარებული ღამისთევით ცისკარზე და წირვაზედ. მეათედი ნაწილი შემოწირულებათაგან ადგილობით კრებულს შეუძლია მოიხმაროს ადგილობითი სამწრუნველოს სასარგებლოდ, ანუ სამრელო სკოლისათვის.

ბრმის კვირიაკეს

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ფულის შესაკრებად ლანგარი **ბრმათა სასარგებლოდ** და თვითონაც უნდა ჩააგონოს ხალხს თუ რამდენად საჭიროა დახმარება ბრმათათვის ბედის შესამსუბუქებლად. ფულები რაც შეიკრიბება განცხადებით უნდა გაეგზავნოს მეორე დღესვე ადგილობით ბლაღოჩინს წარსადგენელად, სადაც ჯერ არს.

მაისის პირველს

უნდა წარმოდგინდეს კრებულთაგან მეტრიკების, აღსარებითი სიების და კლიროვის უწყებათათვის ფურცლების გამოსაწერად ფულები სამ-სამი კაპეიკი თითო ფურცლისათვის მომავალი წლისათვის და მასთან უწყება, თუ რამდენი ფურცელია საჭირო თითოეული ზემოხსენებულის რეესტრებისა.

სული წმიდის გარდმოსვლის კვირას

მღვდელმა უნდა ჩამოატარებინოს ლანგარი შესაკრებელად კეთილ-მნებებელთ შეწირულებათა **სამრევლო სკოლის** სასარგებლოდ და წარადგინოს მეორე დღესვე ადგილობით ბლაღოჩინთან მისაქცევნელად დანიშნულებისა მებრ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეკკლესიის შესავალ-გასავლის წიგნებს გარდა უნდა იყოს კიდევ ერთი საზოგადო შესავალ-გასავლის წიგნი, რომელშიაც უნდა იწერებოდეს ყველა ფულები სხვა-და-სხვა უულაბებიდამ და ლანგარიდამ შემოსულნი, რომელთაც სხვა-და სხვა დანიშნულება და მიმართულება აქვს. ეს ფულები თითეული ცალკე უნდა ჩაიწეროს წიგნში და ხელს აწერდენ მღვდელსა და სტაროსტას გარდა ორი-სამი პირი კიდევ მრევლთაგანი.

ა თ ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ს

უნდა წარადგინოს კრებულმა შედგენილი რიგისამებრ აღსარებითი სიები ნამდვილი და პირს ხელმოწერილი კრებულის ყველა წევრისაგან.

პ ი რ ვ ე ლ დ ე კ ე მ ბ ე რ ს

უნდა წარადგინოს ადგილობით ბლაღოჩინთან კრებულმა და სტაროსტამ ფულები საეალდებულო სასულიერო ჟურნალთა გამოსაწერად.

ოც-და-თერთმეტ დეკემბერს

უნდა წარადგინონ ეკკლესიის კრებულთა: 1) ჯეროვანად შედგენილი და ხელმოწერილი მეტრიკების რვეულები ნამდვილი და პირი.

2) ანგარიში შესავალ გასავლის წიგნისა მთელი წლისა, რომლიდამაც უნდა სჩანდეს რამდენი ფული იყო გადარჩენილი წინა წლიდამ, რამდენი და რისგან სახელდობ შემოვიდა, რამდენი და რაზედ სახელდობ დაიხარჯა და რა დარჩა მომავალი წლის პირველი იანვრისათვის, ანგარიში უნდა იყოს შედგენილი სინოდისაგან გამოცემული ფორმისა მებრ და ეთანხმებოდეს წიგნის ანგარიშს.

3) ამავე დროს სტაროსტებმა უნდა წარადგინონ შესავალ-გასავლის წიგნები შესამოწმებლად: ეთანხმებიან თუ არა იგინი წარმოდგენილ ანგარიშს?

4) ამავე დროს უნდა წარადგინონ კრებულთა ადგილობით ბლაღოჩინთან ეკკლესიაში დადგმულ კრუშკებიდამ ამოღებული ფულები: 1) მართლმადიდებელი **ქრისტიანობის ადმადგინებელ საზოგადოებისა** კავკასიაში, 2) სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სასარგებლოდ, 3) მისიონერის საზოგადოების სასარგებლოდ, 4) პალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ და 5) სამრევლო სკოლების სასარგებლოდ და სხვათა.

5) 31 დეკემბერსავე უნდა წარადგინონ კრებულთა 5 % ეკკლესიის შეწირულებათაგან სასარგებლოდ სამრევლო სკოლებისა და 1% სასულიერო წოდების პირთა საექიმოდ საავათმყოფოებში იმ ყულაბისაგან, რომელიც დადგმულია ეკკლესიებში შეწირულებათა შესაკრებად ეკკლესიის გასამშვენებლად.

6) ამავე დროს უნდა წარადგინონ დაწესებული იმერეთის ეპარქიის საქალებო სკოლის შესანახავად ფულები ეკკლესიიდგან და თავიანთ საკუთრებიდამ.

შ ი ნ ა ა რ ს ი: **ოფიციალური განყოფილება:** 1861 წლამდე არსებული წესის აღდგინება ხაზინიდგან ნელ-ნელა ფულების დანიშვნისა სამღვდელოების შესანახავად.

სალიტერატურო განყოფილება: ნიადაგი მუყაითობა არის დამაგვირგვინებელი ყოველი დაწყებული საქმისა.— მცირე პედაგოგიური შენიშვნა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.— სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Апрѣля 1893 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.